განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

15 ივლისი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

25 ივლისი, 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	„საქართველოს უნივერსიტეტი“, შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მენეჯმენტის მაგისტრი Master of Management
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლარისა პატარაია, Start- Business Solutions, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბი ჯანხოთელი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა არის სრულიად ახალი და პროგრამული აკრედიტაციის მიღების პირობებში იგეგმება მისი განხორციელება საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე. აღნიშნული პროგრამა ეფუძვინება ინოვაციური ადამიანური რესურსების აკადემიის მიერ შემუშავებულ არმ-ის პროფესიონალების T ფორმის მოდელს, რომელშიც ჩართულია 28 აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი (10 აფილირებული აკადემიური, 18 მოწევული (აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოწვეულ პერსონალთან 0.35 თანაფარდობით), 250 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. საწყის ეტაპზე იგეგმება 30 სტუდენტამდე მიღება. პროგრამის სასწავლო კურსები ავითარებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული ცოდნას და კვლევით უნარებს, რომელიც ეფუძნება სიმულაციურ და როლურ თამაშებს, პროექტების შექმნასა და რეალური სიტუაციების (ქეისების) გაანალიზებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე განსახორციელებელი ახალი ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მოაზრებულ პირებთან პირისპირ და ონლაინ რეჟიმში (ზუმის პლატფორმის მეშვეობით) გაიმართა გასაუბრებები წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით. ვიზიტი განხორციელდა კოლეგიალურ რეჟიმში. აკრედირაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის მოწოდება მოხდა ეფექტურად და დროულად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა ახალად შექმნილი ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის სრულფასოვანი შეფასება წარმოდგენილი და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის და რელევანტურ პირებთან გასაუბრების საფუძველზე და დააგინა სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

სტანდარტი 1 მისი ყველა ქვესტანდარტით სრულ შესაბამისობაშია პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2 მისი ყველა ქვესტანდარტით სრულ შესაბამისობაშია პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3 მისი ყველა ქვესტანდარტით სრულ შესაბამისობაშია პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4 მისი ყველა ქვესტანდარტით სრულ შესაბამისობაშია პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5 მისი ყველა ქვესტანდარტით სრულ შესაბამისობაშია პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია დაკორეკტირდეს ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და მოვიდეს შესაბამისობაში თვითშეფასებაში მოცემულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- რეკომენდებულია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომოპონენტს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ოპერაციათა მენეჯმენტი და მიწოდების ჯაჭვის მართვა", ,,ფინანსური მენეჯმენტი" მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.

- სასურველია უსდ-მ კონკრეტულად ამ სამაგისტრო პროგრამისთვის დამატებითი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი დროულად დაასრულოს, რათა სტუდენტებს უფრო მეტი არჩევანის საშუალება ქონდეთ გაცვლითი პროგრამების მიმართულებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე განსახორციელებელი ახალი ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულყოფილად და ლაკონურად ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპენტეციებს რის განვითარებასაც სასწავლო პროგრამა გეგმავს. მიმდინარე პროგრამის მიზნები ასევე ყურადღებას ამახვილებს თუ რა წვლილი უნდა შეიტანოს კურსდამთავრებულმა ბიზნესის/მენეჯმენტის სფეროსა და საზოგადოების განვითარების პროცესში. პროგრამის სწავლის შედეგები ეხმიანება უსდ-ს მისიას, სტრატეგიულ მიზნებს და პრიორიტეტებს. საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან თანხვედრისათვის პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს კონკურენტუნარიანი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მენეჯერები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან რელევანტური თეორიული (ზოგადი და პროფესიული) ცოდნით, შესაბამისი უნარებით (წერითი და ვერბალური კომუნიკაცია, პრობლემების ეფექტურად გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობა, ა.შ.) და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფით. პროგრამის შემუშავების პროცესში გაანალიზებული იყო ანალოგი ლოკალური და საერთაშორისო პროგრამები და ასევე დარგობრივი სასერთიფიკატო პროგრამებიც. პროგრამაში ჩართულ რელევანტურ პირებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობდა აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ასევე პოტენციურ დამსაქმებლებთან პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში, შესაბამისად ისინი

ეხმიანება მუდმივად ცვალებადი სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს, პოტენციური დამსაქმებლების მოლოდინებს კურსდამთავრებულების კომპეტენციებთან მიმართებაში, უმაღლესი განათლების კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს, სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის მიზნები შემუშავებულია თანამშრომლობითი პროცესით და ნათლად წარმოაჩენს ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც მოეთხოვება აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს. პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას, რომელებსაც ექნებათ ბიზნესის ხედვის, ციფრული ინტეგრაციისა და ადამიანური კაპიტალის უნარების განითარების კომპეტენციები. უსდ-ს გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი და პროგრამის მეზნები მიღწევადია კურსების ერთობლიობის და ჩართული პერსონალის კომპეტენციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს უნივერსიტეტის მისია;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტანსფორმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზის ამსახველი დოკუმენტი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში განხორციელებაში მოაზრებულ პირებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოაჩენს იმ ცოდნას, უნარებს, პახუხისმგებლობებსა და ავტონომიურობას, რის განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და ასევე სწავლის შედეგების შეფასების მარტივად გაზომვადი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებასაც გეგმავს პროგრამის ამუშავების შემდეგ. სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მათი შესაბამისობის დადეგენა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ასევე უსდ-ს დადგენილი აქვს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და მათი შეფასების მეთოდოლოგია. პროგრამის გაუმჯობესებისათვის მოიაზრება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენება, სხვადასხვა რელევანტური პირების ჩართულობით. აღნიშნული პროცესი მოიცავს რელევანტური მონაცემების იდენტიფიცირებას, მოპოვებასა და სრულფასოვან შეფასებას. რამდენადაც პროგრამა ჯერ კიდევ არ დანერგილა, ვერ დგინდება თუ როგორ იყენებს ამ პროცედურის შედეგად მიღებულ მონაცემებს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის წარმომადგენლები მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის

განვითარების მიზნით. თუმცა გასაუბრება ყველა რელევანტურ პირთან ცხადყოფს, რომ მათ შორის არის მჭიდრო თანამშრომლობა, კარგად არის გააზრებული პროგრამის მიზნობრიობა, მის შედეგად მისაღები სწავლის შედეგები. მიმდინარე პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას გამოყენებული იქნა ანალოგიური პროგრამების ანალიზი, შრომის ბაზრის მეორადი კვლევა 117 ორგანიზაციის ჩართულობით და ძირითადი სოც. ქსელების დასაქმების პორტალებზე განთავსებული ვაკანსიების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დარგობრივ კომპეტენციებთან (პერსონალის დაგეგმვა, მოზიდვა, შერჩევა, კომპენსაცია და ბენეფიტის სისტემების მართვა, ა.შ.) ერთად ყურადღება გამახვილდა ზოგადი კომპტენციების განვითარებაზე პროგრამის ფარგლებში (კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, დროის მართვა, ა.შ.).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტანსფორმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; ○ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში; ○ ანალოგიური პროგრამების შედარების ანალიზი; ○ პროგრამის სწავლის შედგების შეფასების მექანიზმი; ○ სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასები ინსტრუქცია; ○ პროგრამის შედეგების მატრიცა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამაში განხორციელებაში მოაზრებულ პირებთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ საქართველოს უნივერსიტეტს წინასწარ განსაზღვრული აქვს ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომელიც გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული ინფორმაცია აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში, რომელიც ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებ გვერდის საშუალებით. პროგრამის წინაპირობები ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსზე და საშუალებას აძლევს შესაბამისი კომპეტენციის და უნარების მქონე პირების დაშვებას პროგრამაზე. წინაპირობები ბმაშია პროგრამის სპეციფიკასთან, მიზანთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. წინაპირობები ითვალისწინებს ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგებს ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის No224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანებას, დამატებით ინგლისურ ენაში გამოცდას (საჭიროების შემთხვევაში) და ზეპირ გასაუბრებას. დაინტერესებულ პირებს უღიარდებათ საერთაშორისო ვალიდური სერთიფიკატები და ასევე საქართველოს უნივერსიტეტში გავლილი ინგლისურის B2/2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;

○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

○ პროგრამაში განხორციელებაში მოაზრებულ პირებთან გასაუბრების შედეგები;

○ საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.ug.edu.ge/ge/programs/2;

○ სამაგისტრო სწავლების დებულება (https://ug.edu.ge/storage/documentations/November2021/ppO8CDPj41pFQOhxdmqA.pdf);

○ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შემუშავებას წინ უსწრებდა შრომის ბაზრის ანალიზი. კერძოდ, შრომის ბაზრის ანალიზის ფარგლებში შესწავლილ იქნა ვაკანსიები, დასაქმების ქართული გვერდები, დასაქმების ქართული პორტალები, ასევე ჩატარდა დამსაქმებლების გამოკითხვა. გარდა ამისა დაწესებულებამ პროგრამისათვის შეისწავლა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები. კერძოდ, დაწებულებამ უცხოური უმაღლესი სასწავლებლებიდან შეისწავლა ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა, მინესოტას უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის და ინდუსტრიული ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა და ნიუ იორკის უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის ანალიტიკისა და ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამა.
პროგრამის სტრუქტურა მოიცავს როგორც ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს, ასევე არჩევით კომპონენტს.
სამაგისტრო პროგრამის ძირითადი საგნების მოცულობაა 72 ECTS, მათ შორის სამაგისტრო კვლევითი პროექტის - 18 ECTS და სავალდებულო ასარჩევი ბლოკიდან საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უნდა გაიაროს სულ მცირე ერთი საგანი (6 ECTS). დანარჩენი კრედიტები (42 ECTS) უნდა შეივსოს პროგრამის ასარჩევი საგნებიდან.

ძირითადი სფეროს სასწავლო კურსებია: სტრატეტეგიული მენეჯმენტი, ტალანტების რეკრუტირება და შერჩევა ციფრულ ეპოქაში, ტალანტების განვითარება და შესრულებული სამუშაოს მართვა, შრომის კანონმდებლობის სამართლებრივი ჩარჩოები, HR ანალიტიკა, ორგანიზაციული კულტურა და თანამშრომლების მოტივირება, საკომპენსაციო პოლიტიკა და სისტემები, ტრანსფორმაციების მართვა, ალგორითმული კულტურა და პლატფორმიზაცია.

ძირითადი სწავლის სფეროს საგნების ერთობლიობა მთლიანობაში შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მენეჯმენტის მაგისტრი, რაც ნიშნავს, რომ მენეჯმენტის სწავლის სფეროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული უნდა ახდენდეს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას შემდეგ სფეროებში: ორგანიზაციები, სტრატეგიები, ოპერაციები, ბაზრები, მარკეტინგი და გაყიდვები, ფინანსები, ადამიანური რესურსები და ორგანიზაციული ქცევა, აღნიშნული ცოდნის დემონსტრირებისათვის აუცილებელია რომ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს ისეთი სასწავლო კურსები როგორიცაა: ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მართვა, ფინანსური მენეჯმენტი, სტრატეგიული მარკეტინგი.
რეკომედებულია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომოპონენტს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ოპერაციათა მენეჯმენტი და მიწოდების ჯაჭვის მართვა", ,,ფინანსური მენეჯმენტი" მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
პროგრამის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს წინაპირობების მატრიცა. წინაპირობების მატრიცის ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამაში მოცემული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიუკურად დალაგებული.
როგორც გასაუბრებიდან გამოვლინდა, პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებელი.
დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და განთავსებულია დაწესებლების ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

● რეკომენდებულია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომოპონენტს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ოპერაციათა მენეჯმენტი და მიწოდების ჯაჭვის მართვა", ,,ფინანსური მენეჯმენტი", მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ●
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მთლიანობაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. დაწესებულება,, ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამისათვის სასწავლო კურსების შერჩევისას ხელმძღვანელობდა არა

მხოლოდ შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით, არამედ ანალოგიური პროგრამების შესწავლით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის, ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი“ შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ დაწესებულებას გაანალიზებული აქვს, როგორც ადგილობრივი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე უცხოური უნივერსიტეტების პროგრამები. ადგილობრივ უნივერსიტეტებს შორის გაანალიზებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანამანათლებლო პროგრამები. დაწესებულებამ შეისწავლა მინესოტას უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის და ინდუსტრიული ურთიერთობების სამაგისტრო პროგრმა, ნიუ იორკის უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის ანალიტიკისა და ტექნოლოგიების პროგრამა, მინესოტას უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის და ინდუსტრიული ურთიერთობების სამაგისტრო პროგრმა. დაწესებულებამ, ასევე გაანალიზა ავტორიტეტული საერთაშორისო მასერტიფიცირებელი HR ორგანიზაციების HRCI-სა და SHRM-ის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები. ანალოგიური პროგრამების ანალიზის შედეგები იქნა გათვალისწინებული ,,ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის“ საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავებისას. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზისას დგინდება, რომ სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. კერძოდ სასწავლო კურსის ფარგელბში გამოყენებულია თანამედროვე ლიტერატურა. ხშირ შემთხვევაში ლიტერატურა არის ინგლისურენოვანი და ითვალისწინებს კვლევის შედეგებს და სფეროს თანამედროვე მიღწევებს, თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის ლიტერატურა საჭიროებს განახლებას .
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ,,ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის საგანამანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსესბის სილაბუსები; ○ გასაუბრების შედეგები; ○ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები; ○ ანალოგიური პროგრამების ანალიზის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის ლიტერატურის განახლება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

თეორიული ცოდნის გარდა, სამაგისტრო პროგრამა, ასევე ორიენტირებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავება ხდება ცალკეული კურსის ფარგლებში პროექტებისა და კონკრეტული სიტუაციების შესრულებით. კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს კვალიფიციური ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები მოცემულია სამაგისტრო სწავლების დებულებაში. ამ დებულების მე-6 მუხლი განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის თანახელმძღვანელის საკითხებს. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სემინარები. სტუდენტებისათვის სემინარზე დასწრება და მონაწილეობა წარმოადგენს დამატებით საშუალებას დებატების კულტურის ფორმირებისათვის, სემინარებს უძღვებიან ბიზნესის სფეროს ექსპერტები, ცნობილი სპეციალისტები, სხვადასხვა ბიზნეს-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. პრაქტიკული და კვლევითი უნარების გაღრმავების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს „Startup Factory". „Startup Factory" მოიცავს თანამედროვე სამუშაო გარემოს, რომელშიც შესაძლებელია 40-მდე ადამიანის განთავსება; Startup Factory" -ს საშუალებით შესაძლებელია ინოვაციური ბიზნეს იდეის განვითარების და შემდგომში დაფინანსების მოძიება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სასწავლო კურსის სილაბუსები; ● საგანამანატლებლო პროგრამა; ● გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სწავლების მეთოდების აღწერილობითი ნაწილი შეესაბამება რეალობაში განხორციელებულ მეთოდებს, არის არსებული საფეხურების მიმართ რელევანტური და სრულად უზრუნველყოფს შედეგების მიღებას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის: ლექცია-სემინარი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ინტერაქტიული ლექციები, გუნდური მუშაობა, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, დისკუსიები, პრეზენტაციების წარდგენა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ლიტერატურის მიმოხილვა. სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების გამოყენებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის შინაარსი და სპეციფიკა, მოთხოვნები და სასწავლო კურსით მისაღწევი შედეგები. ზოგადად სასწავლო პროცესი სრულად ფოკუსირებულია სტუდენტზე თითოეული სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურს, კურსების შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურს, კურსის შინაარს და სწავლის შედეგებს.

სწავლა-სწავლების მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, რაც დასტურდება დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზით. საჭიროების შემთხვევაში უსდ სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები; ○ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). კომპონენტი დაძლეულად მიიჩნევა 51 ქულის მიღების შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელია არანაკლებ 21 ქულის მიღება. სტუდენტი, რომელმაც ვერ მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა (21 ქულა), მაგრამ შუალედურ შეფასებათა ფორმებით დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულა, დაიშვება დამატებით გამოცდაზე. დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღეში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მაგისტრანტთა შეფასების სისტემა შემადგენელი კრიტერიუმებით არის გამჭირვალე და საჯარო, იგი განთავსებულია უსდ-ს ვებ გვერდზე, ამასთანავე წარმოდგენილია როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე სილაბუსებში. სტუდენტთა შეფასებისას ლექტორი აძლევს სტუდენტს უკუკავშირს დადებითი და უარყოფითი მხარეების, გაუმჯობესების გზების შესახებ. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და გამჭირვალეა, ასევე, ისინი დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა; ● ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის თვითსეფასების ანგარიში; ● სასწავლო კურსის სილაბუსები; ● სამაგისტრო სწავლების დებულება; ● საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი https://my.ug.edu.ge/login; ● ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, ასევე, მათ აქვთ კარიერულ განვითარებასთან მიმართებით მხარდაჭერა. მითითებულ საკითხებს საქართველოს უნივერსიტეტში ძირითადად არეგულირებს „სტუდენტურ საქმეთა დებულება“ და „სამაგისტრო სწავლების დებულება“. მოცემული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ ყველა მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის თუ ფაკულტეტის დებულებები, წესები და რეგულაციები განთავსებულია უსდ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. უსდ-ში არსებული ციფრული სისტემები, როგორიცაა „My UG" საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ დროული და ადეკვატური ინფორმაცია საკუთარ მიღწევებთან, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ასევე დაამყარონ კომუნიკაცია პედაგოგთან, ადმინისტრაციასთან, იხილონ აკადემიური ჯგუფის ცხრილი, აკადემიური კალენდარი და სხვა. ვიზიტის მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში, რომელიც უკავშირდება საგნის ლექტორებს, სასწავლო კურსებს, საგამოცდო პროცესებსა და ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებას, რისი მიზანიცაა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება.

საბიბლიოთეკო სისტემა მორგებულია სტუდენტთა მოთხოვნებზე და გამოირჩევა მოქნილობით. საწიგნო ფონდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ვერსიებით. აღნიშნული სივრცე აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, რისი რაოდენობაც სრულად დამაკმაყოფილებელია. სუ-ს მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკის ფარგლებში არსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზებითა და კატალოგებით, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ინტერვიუების დროს სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები დადებითად აფასებდნენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. ისინი, შეუფერხებლად ღებულობენ კონსულტაციებს მათთვის საჭირო თემებზე ადმინისტრაციის წარმომადგენლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, რისი ორგანიზებაც ძირითადად ელ. ფოსტის და ონლაინ პლატფორმა „ჩემი UG" საშუალებით ხორციელდება.

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო საფეხურის მიხედვით ინფორმაციის გავრცელებას, სტუდენტების მიერ წარმოდგენილი განცხადებების დამუშავებას და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას.

უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური. იგი აორგანიზებს ტრენინგებს, დასაქმების ფორუმებს, უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს ზემოხსენებლ საკითხზე, როგორც სტუდენტებს, ისე კურსდამთავრებულებს, გარდა ამისა ავრცელებს ცნობებს მიმდინარე ვაკანსიებსა და სტაჟირებებზე. აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის დროს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების მეშვეობით გამოაშკარავდა, რომ უსდ ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენასა და სოციალურ/კულტურულ აქტივობას, როგორც უნივერსიტეტში ასევე მის ფარგლებს გარეთაც. დაწესებულებაში ხორციელდება სტუდენტთა მოთხოვნებზე ორიენტირებული ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით: კულტურის, სპორტის და სხვა აქტივობები, რომელზეც ცნობები ძირითადად ვრცელდება სტუდენტურ პორტალზე. საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მულტიფუნქციური სივრცე, რომელიც მიმართულია ინოვაციების და სტარტაპების განვითარებაზე. აღნიშნული სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მოიპოვონ დაფინანსება და ხორცი შეასხან კრეატიულ იდეებს უსდ-ს მეშვეობით. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ერასმუს +, ასევე ევროპის ცალკეულ უნივერსიტეტებთნ გაფორმებული მოემორანდუმების საფუძველზე გაცვლითი პროგრამებით. ვიზიტის პროცესში უსდ-ს მხრიდან დაფიქსირდა, რომ მოცემული კუთხით აგრეთვე მიმდინარეობს კონკრეტულად ამ სამაგისტრო პროგრამისთვის დამატებითი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი. დაწესებულება სტუდენტებთან კავშირის დასამყარებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, კერძოდ, საინფორმაციო დაფებს, ელექტრონულ მეილების, ვებ-გვერდს, სტუდენტურ პორტალს. თუმცა უმჯობესი იქნება მაგისტრანტებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების პროცესში მოცემულ არხებს დაუმატოს სხვა საკომუნიკაციო საშუალებებიც ან არსებობის შემთხვევაში გაზარდოს მისი გამოყენების ინტენსივობა (მაგ. მოკლეტექსტური შეტყობინებები და სხვა). ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სტუდენტები ფლობენ საკმარის ცოდნას გასაჩივრებებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, რაზეც რეაგირებას უნივერსიტეტი დროულად და ადეკვატურად ახდენს. მოცემული ინფორმაცია განთავსებულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. არსებულ საკითხს არეგულირებს „სამაგისტრო სწავლების დებულება“. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები იგი რეგულირდება “საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულებით”. ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე ძირითადად ვრცელდება ელ. ფოსტის, სტუდენტური პორტალისა და სკოლის ასისტენტების მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის თვითსეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულება;
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულება;
- სტუდენტურ საქმეთა დებულება;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- ღირსების კოდექსი;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.ug.edu.ge
- საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი https://my.ug.edu.ge/login
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
- ბიზნეს ფაკულტეტის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა;
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.

- სასურველია უსდ-მ კონკრეტულად ამ სამაგისტრო პროგრამისთვის დამატებითი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი დროულად დაასრულოს, რათა სტუდენტებს უფრო მეტი არჩევანის საშუალება ქონდეთ გაცვლითი პროგრამების მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომი, რისი თემისა და მასთან შესაბამისი ხელმძღვანელის შერჩევა ხორციელდება მას შემდეგ, რაც სტუდენტი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მოაგროვებს 78 კრედიტს და დააკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ სხვა წინაპირობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სტუდენტებს მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია კვლევასთან დაკავშირებულ რეგულირებებზე, შეფასებაზე, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „სამაგისტრო სწავლების დებულება“, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. დაწესებულებას დეტალურად აქვს განსაზღვრული მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სამაგისტრო ნაშრომის ზოგად მოთხოვნებზე, წარდგენის, შეფასებისა და აპელაციის პროცესებზე. ეს ცნობები არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, რომელიც ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს, აკმაყოფილებს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობას. სამაგისტრო ნაშრომი გადის პლაგიატზე შემოწმების პროცესს, რაზეც საბოლოო წერილობით დასკვნას ხელმძღვანელი ამზადებს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მაგისტრანტს ურთიერთობა აქვს ინდივიდუალურად მის სამაგისტრო თემასთან

დაკავშირებით შექმნილ საბჭოსთან, რომელშიც განსაზღვრული წევრების გარდა შედის აგრეთვე თავად ხელმძღვანელი. მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების მეშვეობით დადგინდა, რომ მომიჯნავე სფეროებში სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას იღებენ სათანადო კონსულტაციას ხელმძღვანელებისგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა; ● ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის თვითსეფასების ანგარიში; ● სასწავლო კურსის სილაბუსები; ● სამაგისტრო სწავლების დებულება; ● აკადემიური, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები და ხელშეკრულებების ნიმუშები; ● ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეიულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავისი ცოდნით და გამოცდილებით სრულიად რელევანტურია პროგრამა განხორციელდეს მაღალი ხარისხით; პროგრამაში ინტეგრირებულია მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი პროფესიონალები, რაც თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საუკეთესო

სიმბიოზია. აღნიშნულ სპეციალისტებს აქვთ მრავალწლიანი პროფესიული და სწავლების გამოცდილება.

○ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. პროგრამა ითვალისწინებს 30 სტუდენტის მიღებას. თუ გავითავლისწინებთ, უსდ-ს ისტო რიულ მონაცემებს გამოცხდებული ადგილების შევსების კოეფიციენეტი 0.85 -ია , შესაბამისად ორი წლის ბოლოს პროგრამაზე ჩარიცხული იქნება მაქსიმუმ 50 სტუდენტი. პროგრამაში ჩართულია 27 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც სრულიად ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან და 0.54-ია.

○ აკადემიურ პერსონალს აქვს რელევანტური აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 27 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. თანაფარდობა აკადემიურ და ამოწვეულ პერსონალს შორის არის 1:2. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიურ პერსონალს ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნებული აქვთ საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სამეცნიერო სტატიები. პერსონალის დატვირთვა არ აჩენს პროგრამის განხორციელების რისკებს. დატვირთვა ითვალისწინებს და აღრიცხავს სასწავლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კონსულტაციებს და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას.

○ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის ხელმძღვანელი აჩვენებს პროფესიონალიზმის, დარგობრივი ცოდნის მაღალ დონეს; ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვული ლექტორების მაღალი ჩართულობით იმუშავებდა და ხვეწდა პროგრამას.

○ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური ადმინისტარციული პერსონალი. უნივერსიტეტს აღებული აქვს მართვაში ISO სერთიფიკატები და პროცესები ოპტიმალურად არის დაგეგმილი. უსდ-ს ადმინისტრაციაში 250-მდე თანამშრომელი ჰყავს. ისინი გადანაწილებული არიან შესაბამის დეპარტამენტებში და უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების მხარდაჭერას. აღსანიშანვია, რომ ამ პროგრამაში ჩართული ადამინისტრაცული, დამხმარე თანამშრომლების რაოდენობა და ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სრულად საკ მარისია პროგრამის სტუდენტების ინტერესების დასაკამყოფილებლად. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისია დაკავებული პოზიციების და არსებობს პოზიტიური და ოპტიმალური გამოცდილება მო ემსახუროს სტუდენტებს მაღ ალი ხარისხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ თვითშერფასების ანგარიში;
○ პერსონალის CV-ები;
○ პერსონალის დებულება;
○ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის კამყოფილების კვლევისა და შეფასების პოლიტიკა და პროცედურები, რომელსაც აქვს სისტემტური ხასიათი და მოიცავს სტუდენტების შეფასებას, თვითშეფასების კომპონენტს. შეფასება ხორციელდება სისტემური გამოკითხვის მეთოდით, პირპისპირ ინტერვიუების გამოყენებით და საჭიროებების კვლევის საფუძველზე. ○ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის მაქსიმალურად გამჭვირვალე და სამართლიანი პოლიტიკა, რომელიც ემსახურება ობიექტური შეფასების პრინციპებს და კარიერულ განვითარებას. შეფასების პროცესი არის უწყვეტი და უკუკავშირის მაქსიმალური

გამოყენებით იგეგმება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება. წახალისებულია სამეცნიერო აქტივობების განხორციელება. ინერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ახორციელებს ფულად წახალისებას და უზრუნველყოფს ხარჯების ანაზღაურებას აკადემიური პუბლიკაციების და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შემთხვევაში. უნივერსიტეტში დანერგილია, სამეცნიერო ოთხშაბათის" ფორმატი, სადაც აკადემიური პერსონალი უზიარებს ერთმანეთს ახალ მიგნებებს და მიღწევებს. აქვე აღსანიშნავია, რომ უსდ ჩართულია MOCAT პროგრამაში, პერსონალს აქვს საშუალება უფასოდ გაიაროს კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ტრეინინგი აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით დგინდება, რომ იყენებენ ამ შესაძლებლობას. აღსანიშავია აგრეთვე ის გარემოება, რომ უსდ-ში დანერგილია სამეცნიერო პოტენციალის შეფასების პოლიტიკა და შიდა საკონკურსო მექანიზმით და დაფინანსებით ხდება სამეცნიერო პროექტების შერჩევა და განხორციელება. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, რომ აკადემიური და მოწვეული ლექტორები დაესწრებიან ერთმანეთის ლექციებს და მოხდება უნარების, გამოცდილების გაზიარება და პროგრამის შემდგომ განვითარებაზე და დახვეწაზე ზრუნვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დებულება; ○ სკოლია პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია ; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პრსონალის დებულება; ○ აკადემიური პერსონალის განვითარების ღონისზიებები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საქართველოს უნივერისტეტის მე-4 კორპუსში, რომელიც მდებარეობს თბილისში, მ. კოსტავას ქუჩაზე N77 ა. კორპუსის შენობას ემსახურება ლიფტები; აუდიტორიები არის კეთილმოწყობილი. ყველა აუდიტორიაში დამონტაჟებულია პროექტორი, თეთრი დაფა. უნივერსიტეტი გამართულია და მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების მექანიზმები. საგამოცდო ოთახები აღჭურვილია კომპიუტერებით და ერთდროულად შეუძლიათ 200 სტუდენტზე მეტს მოემსახურონ. უნივერსიტეტს აქვს რამდენიმე ბიბლიოთეკა, საკონფერენციო ოთახები, შეხვედრების ოთახები. ბიბლიოთეკაში, არის წიგნსაცავი. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადავამოწმეთ რამდენიმე სახელმძღვანელო, რომელიც პროგრამის კურსების სილაბუსებში იყო მოცემული და ყველა სახელმძღვანელო აღმოჩნდა ადგილზე. უნივერსიტეტეს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა, სარგებლობა შეუძლია ყველა სტუდენტს და პროფესორს. Covid19 პანდემიის პირობებში ელ. ბაზებთან წვდომის საშუალება გახდა შესაძლებელი არამხოლოდ უნივერსიტეტის IP მისამართებზე არამედ სხვა ლოკაციებიდანაც. უნივერისტეტში მოიპოვება ელ. ბაზების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, უნივერსიტეტს მაქსიმალურად აქვს გაციფრულებული წიგნსაცავი და მუშაობს კვირაში 6 დღის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს MYUG პლათფორმა, რომელიც არის ადვილად მოსახმარი და მაქსიმალურად კომფორტული სასწავლო პროცესის წარმართვის, სტუდენტთან კომუნიკაციის, შეფასების ნაწილში.

○ უშუალოდ სამაგისტრო პროგრამისთვის ,,ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია" უნივერსიტეტს ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით სტუდენტების უნარების გასაუმჯობესებლად აქვს საშუალება გამოიყენოს SAP უფასო დემო ვერსიები, ლიცენზიებული Microsfot Power BI და აგრეთვე სტუდენტებს ექნებათ საშუალება იმუშაონ ქართულ პლათფორმაზე self.ge და მონაწილეობა მიიღო ახალი HR პროდუქტების დანერგვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ თვითშეფასების ანგარიში;
○ უსდ-ს ვებ-გვერდი;
○ ბიბლიოთეკის დებულება;
○ სასწავლო პროცესით კამყოფილების შეფასება სტუდენტებისთვის;
○ ინტერვიუს შედეგები;

○ ადმინისტრაციული სამსახურების შესაბამისი დებულებები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ-ს წარმოდგენილი აქვს 2022-2024 წლების პროგრამული ბიუჯეტი. რომელიც დაგეგმილია უსდ-ს ისტორიული გამოცდილების საფუძველზე; გათვლილია 30 სტუდენტის მიღებაზე და ითვალისწინებს 84%-იან შევსებას. სწავლების საფასური განსაზღვრულია წლიური 6000 ლარით. ბიუჯეტში გამოყოფილია როგორც პირდაპირი ხარჯები, რომელიც მოიცავს სალექციო საათების ანაზღაურებას, აგრეთვე გაწერილია პროგრამის სხვა ხარჯები. უსდ-ს დათვლილი აქვს წაუგებლობის წერტილი 8 სტუდენტზე. სხვა ხარჯები მიმართულია პროგრამის პრომოციისკენ, სასწავლო რესურსების და

მასალების შესყიდვაზე, კვლევების და კონფერენციების დაფინანსებაზე და შემოსავლის 24% შეადგენს. ○ აღსანისავია, რომ უსდ-ს როგორც მთლიანის და სკოლის შემოსავლები შესაძლებლობას იძლევა, რომ პროგრამა განხოციელდეს შეუფერხებლად; თავად ამ პროგრამის ფარგლებში დაპროგნოზირებული შემოსავლები განაპირობებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას; ○ დამსაქმებლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ მოთხოვნა პროგრამით განსაზღვრულ კვალიფიკაციის და ამ უნარების მქონე სამუშაო ძალაზე არის მაღალი. იგივე დასტურდება ბაზრის კვლევის საფუძველზე, რაც გვაძლევს საშუალებას დავდასტუროთ, რომ პროგრამის ბიუჯეტი არის რეალისტურად შედგენილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ კვლევის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის“ შესაბამისად. აღნიშნული საკითხების კოორდინირებას ცენტრალურად ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სკოლის წარმომადგენლობის ჩართულობით. ცალკეული სკოლის ფარგლებში, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ყალიბდება პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის მუდმივი წევრები არიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. შესაბამისი პროცედურები აღწერილია შემდეგ დოკუმენტებში: • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მექანიზმი • საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმი. პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების

გამოყენებით. პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება - ხორციელდება სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებით, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა. მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება. პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი ხდება სემესტრის განმავლობაში, სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის საქართველოს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი შეფასებები. პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება - ხდება სტუდენტის და დაინტერესებული პირების გამოკითხვის გზით. პროგრამის შედეგების შეფასების არაპირდაპირი ფორმებია: დამსაქმებლების კითხვარი, კურსდამთავრებულების კითხვარი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი, კონფერენციები, სამეცნიერო აქტივობა (მაგისტრები), საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი, ბაზრის კვლევა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და სხვა დამატებით დოკუmeნტაციაში ნათლად არ იყო წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამაზე მუშაობის პროცესში, თუმცა ინტერვიუებიდან ცხადი გახდა აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი. ნაკლებად არის წარმოდგენილი სტუდენტთა (ამ შემთხვევაში მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა) ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში. პროგრამის შემუშავების ეტაპზე ასევე განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, ქართული და უცხოური მსგავსი პროგრამების ანალიზი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია - სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; ○ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი; ○ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში; ○ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. გარდა ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასებისა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგის ექსპერტებთან პროგრამის შესაფასებლად.

ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის შეფასება განხორციელდა ერთი საერთაშორისო შემფასებლის მიერ, რომელიც არ იყო პროგრამის წარმომადგენელი, არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს და გააჩნდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

საერთაშორისო ექსპერტის მიერ საერთო ჯამში, პროგრამა შეფასებულია დადებითად. შეფასებაში ასევე წარმოდგენილია, რჩევები და რეკომენდაციები გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ და აღნიშნული გათვალისწინებულია პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია - სამაგისტრო პროგრამა;

○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

○ გარე შეფასება ექსპერტების მიერ;

○ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, მათ შორის ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია და პროგრამის დებულება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება, ძირითადად, ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტში თითოეული სკოლის მიერ ხდება პროგრამის განვითარების საბჭოს ფორმირება. საბჭოს მუდმივი წევრები არიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. საბჭოს საქმიანობა გულისხმობს კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების შეკრებას და იდენტიფიცირებას, შეკრებილი და იდენტიფიცირებული კვლევის შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში დასკვნების გაკეთებას, რაშიც იგულისხმება, როგორც არსებული სწავლის შედეგების კომპონენტების დახვეწა, ისე პროგრამაში ახალი კომპონენტის გაჩენა.

ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით. ხორციელდება სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზი.

პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ; არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ.

ინტერვიუებიდან დასტურდება ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური მხარდაჭერა, აღნიშნული დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებიდან, აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ადამიანური კაპირალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი; ○ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო პატარაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ლარისა პატარაია

დავით სიხარულიძე

თამთა ლეკიშვილი

თ. [illegible]

ზურაბი ჯანხოთელი

ზ. ჯ[illegible]